

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ И НАУКИ ГРУЗИИ

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY

НАЦИОНАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА



ბიობიბლიოგრაფიული სერია «ქართველი მეცნიერები»

Biobibliographical Series «Georgian Scholars»

Биобиблиографическая серия «Грузинские ученые»

# Giorgi Chitaia

(1890-1986)

Biobibliography

# Георгий Спиридонович Читая

(1890-1986)


Биобиблиография

Tbilisi  
2010

# გიორგი ჩიტაია

(1890-1986)

ბიობიბლიოგრაფია



თბილისი  
2010

012 (ჩიტაია გ.) + 016 : 9(479.22)  
ჩ-671

გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ბიობიბლიოგრაფიაში თავმოყრილია 1924-2008 წლების მასალა: სამეცნიერო შრომები, სამეცნიერო პოპულარული სტატიები, მისი რედაქციით გამოცემული შრომები და ლიტერატურა მის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანბანური საძიებელი.

В биобиблиографию выдающегося грузинского этнолога, академика Г. С. Читая включены материалы 1924-2008 годов: научные труды, научно-популярные статьи, труды, изданные под его редакцией, а также литература о нем.

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. Биобиблиография содержит краткий обзор научной и общественной деятельности и основные даты жизни и деятельности Г. С. Читая (в ведении). Прилагаются указатели: именной и географический (алфавитный).

The biobibliography of the distinguished Georgian ethnologist, academician Giorgi Chitaia contains the materials of 1924-2008 years: scientific works, scientific-popular articles, works published under his editorship and publications about him.

The material is arranged in chronological-alphabetical order. The biobibliography is prefaced by a shot review of scientific and public activities of G. Chitaia, dates of his life and activity. Indexes of names and geographical names are applied in alphabetical order.

შემდგენლები: ვ. გოგილაშვილი, ე. დოლიძე  
რედაქტორები: ი. ღარიბაშვილი, თ. ცაგარეიშვილი  
ბიბლიოგრაფიული რედაქტორი ნ. ბაღათურია  
კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. ჟორჟოლიანი  
დამკაზადონებელი თ. ხახუტაშვილი  
გარეკანის დიზაინი ნ. ხოსრუაშვილი

ISBN 978-9941-0-2926-4

© ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა





## შინაარსი – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ

გიორგი ჩიტაია (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა).....	7
Giorgi Chitaia (A Brief Review of His Scholarly and Public Activities) 17	
Георгий Читая (Краткий обзор научной и общественной деятельности).....	25
გიორგი ჩიტაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.....	33
Key Dates in the Life of Giorgi Chitaia.....	36
Основные даты жизни и деятельности Г. Читая.....	39
გიორგი ჩიტაიას შრომები .....	42
Giorgi Chitaia's Works .....	42
Труды Георгия Читая .....	42
გიორგი ჩიტაიას რედაქციით გამოცემული შრომები.....	112
Works Edited by Giorgi Chitaia .....	112
Труды, изданные под редакцией Г. Читая.....	112
ლიტერატურა გიორგი ჩიტაიას შესახებ.....	130
Publications About Giorgi Citaia.....	130
Литература об Георгии Читая .....	130
საიუბილეო თარიღები .....	141
Jubilee Dates .....	141
Юбилейные даты .....	141
დაბადების 70 წლისთავი .....	141
70 Years Anniversary .....	141
70-летие со дня рождения.....	141
დაბადების 75 წლისთავი .....	143
75 Years Anniversary .....	143
75-летие со дня рождения.....	143

დაბადების 80 წლისთავი .....	143
80 Years Anniversary .....	143
80-летие со дня рождения.....	143
დაბადების 90 წლისთავი .....	146
90 Years Anniversary .....	146
90-летие со дня рождения.....	146
დაბადების 95 წლისთავი .....	151
95 Years Anniversary .....	151
95-летие со дня рождения.....	151
დაბადების 100 წლისთავი .....	153
100 Years Anniversary.....	153
100-летие со дня рождения.....	153
დაბადების 105 წლისთავი .....	154
105 Years Anniversary.....	154
105-летие со дня рождения.....	154
დაბადების 110 წლისთავი .....	155
110 Years Anniversary.....	155
110-летие со дня рождения.....	155
გარდაცვალება და დაკრძალვა .....	157
Death and Funeral .....	157
Смерть и похороны Г. Читая.....	157
სახელთა საძიებელი .....	159
Index of Names.....	159
Указатель имен .....	159
გეოგრაფიული საძიებელი.....	169
Index of Geographical Names.....	169
Географический указатель .....	169



## გიორგი ჩიტაია

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის  
მოკლე მიმოხილვა)

გიორგი ჩიტაიას მოქალაქეობრივი ფორმირების დასაწყისი იმ დროს დაემთხვა, როდესაც ქვეყანა და დრო საუკუნის გზაჯვარედინზე იდგა, ხოლო მეცნიერული მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისს მიესადაგა.

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია მიეკუთვნება XX საუკუნის დასაწყისის იმ რჩეულ ქართველ მოღვაწეთა პლეადას, რომელთაც თავს იდეს დიდი მამულიშვილური მისია: სამშობლოს სიყვარული სულიერ კეთილშობილებასთან ერთად დაამტკიცონ თავისი მიზნებით, ქმედებით, ყოველი ცხოვრებისეული ნაბიჯით. ეს ის თაობაა, რომელიც დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელდებით ფუნდამენტურ მეცნიერებათა ეროვნული სკოლის სათავეში დადგნენ: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ახვლედიანი და სხვები. გიორგი ჩიტაიას წილად ხვდა ეთნოლოგიური მეცნიერების მოთავეობა საქართველოში.

გიორგი ჩიტაია დაიბადა ქალაქ ფოთში 1890 წ. 23 ნოემბერს, სპირიდონ ჩიტაიას ოჯახში. «ჩემი ცხოვრების სარბიელზე მრავალი ჭირი და ვარამი განმიცდია, სანამ დავდგებოდი საკუთარ ფეხზე. 1906 წელს დავამთავრე ფოთის საქალაქო სასწავლებელი და ჩემი სურვილი და ლტოლვა იყო გამეგრძელებინა სწავლა. მაგრამ ჩვენს ოჯახს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა ხელმოკლეობის გამო, თუმცა დედაჩემი თავგამოდებით სწავლისაკენ მომიწოდებდა, ხოლო მამა კი ნოქრობასა და ხელოსნობაში გაწვრთნას მოითხოვდა. ასეთ ვითარებაში 1907-1909 წლების მანძილზე ლუკმაპურს ვმოულობდი საკუთარი შრომით – შავ მუშად (იმ ხანად ფოთში

დიდი მშენებლობა იყო კათედრალური ეკლესიის აგება), კონკის კონდუქტორად, მუშების კოოპერატიული სასადილოს მოლარედ (მაშინ მუშათა კოოპერატივების დაარსებას მეთაურობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია), ვიყავი დემოკრატიული პარტიის კომიტეტის მდივანი. ამავე დროს პავლე ინგოროყვა და მე ვმეცადინეობდით სიმწიფის მოწმობაზე გამოცდების ჩასაბარებლად».

მეცნიერის პიროვნების ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონიეს საუკუნის ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა: – «რა უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრება, რომ არ შევხვედროდი სერგი გიორგაძეს, ექვთიმე თაყაიშვილს, მაშინ ხომ სწავლასაც ვერ გავაგრძელებდი. ამ ადამიანების საშუალებით მომეცა შემწეობა, მიმელო სტიპენდია. დიდი როლი ითამაშა ნიკო ნიკოლაძემ. ის რომ არ შემხვედროდა ცხოვრებაში, მამაჩემი, ალბათ, საერთოდ სკოლაში არ მიმაბარებდა. მერე ფოთის ქალაქის თავად ამირჩია, თავისი ადგილი დამითმო, სრულიად ახალგაზრდას გვერდით ამომიდგა და ცხოვრების იმედი მომეცა».

1907 წ. ფოთის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. 1911 წელს ირიცხება პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე. მის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანია პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი, როდესაც ნ. მარის მითითებით დაიწყო ირანული და გერმანული ენების შესწავლა, მოგვიანებით კი ფრანგულისა და სომხურის. სწავლის პარალელურად გ. ჩიტაია აქტიურად მონაწილეობს ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1912-1916 წლებში ჯერ კიდევ მეორე კურსზე სწავლის პერიოდში. 1913 წელს ნიკო მარის რეკომენდაციით მონაწილეობს ანისის ნაქალაქარის გათხრებში, რომელიც ნ. მარისათვის წარმოადგენდა კავკასიის – როგორც

ის ამბობდა – «რეალური ისტორიის» შესწავლის წყაროს, სადაც «ეთნოგრაფიულ დაკვირვებებს» მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი. სწორედ ამ ეთნოგრაფიულ მასალაზე მუშაობდა გ. ჩიტაია. 1913 წ. კენიგსბერგის უნივერსიტეტში ისმენს პროფესორ ბროკელმანის ლექციებს. 1914 წ. ი. ორბელის მიწვევით იგი შირაქის ექსპედიციის წევრია და მდ. ახურიანის აუზის მიკრორეგიონში ეწევა სომხეთის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას. ასეთ გარემოცვაში ყალიბდებოდა მომავალი მეცნიერი და მოღვაწე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში გიორგი ჩიტაია, ივანე ჯავახიშვილის მითითებით, ეცნობა ეთნოლოგიის საფუძვლებს, ევროპულ ლიტერატურას. სწორედ ივანე ჯავახიშვილთან ურთიერთობისას შეიგრძნო ამ დარგის მეცნიერული მნიშვნელობა.

გიორგი ჩიტაიას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ივ. ჯავახიშვილმა სული ჩაუდგა ქართულ ეთნოგრაფიას, როდესაც ქართული ეთნოგრაფიული მასალის გარკვეული პროგრამით შეკრების იდეა წამოაყენა. მისი ხელმძღვანელობით შედგა ბიბლიოგრაფიაც, რომლის ეთნოგრაფიული ნაწილი გ. ჩიტაიას მიერ არის შესრულებული.

პეტერბურგში სწავლის პერიოდში გ. ჩიტაია, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა სწავლა. 1916 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი, დაბრუნდა სამშობლოში და ფოთის გიმნაზიაში დაიწყო პედაგოგად მუშაობა.

გიორგი ჩიტაიას სიცოცხლის პერიოდში მისი ბიოგრაფიიდან ამოღებული იყო 1918-1924 წლები. ეს ის წლებია, რომელსაც მხცოვანი მეცნიერი სიცოცხლის ბოლო წლებში ასე აფასებდა – «1918 წლის 26 მაისი, ყველაზე ნათელი დღეა საქართველოს ისტორიაში. მერე – იმედის გაცრუება, სულის დაცარიელება, თავდაპირველად სასოწარკვეთი-

ლებაშიც ჩავვარდით, მაგრამ საქართველოდან წასვლა მე არ შემეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ბედნიერი დღეები აქ არ მელოდა. შემდეგ ციხე, თვალთვალი, უნდობლობა. მართალია, ზოგმა ჩემმა კეთილისმსურველმა კომუნისტურ პარტიაში შესვლა შემომთავაზა, მაგრამ ეს არ შემეძლო. რწმენით გაორებული ადამიანი არც შინ ვარგა და არც გარეთ».

1918-1921 წ.წ. გ. ჩიტაია ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეა. 1921 წელს მენშევიკურმა მთავრობამ მასაც საზღვარგარეთ წასვლა შესთავაზა, რაზეც გ. ჩიტაიამ თანხმობა არ მისცა და საქართველოში დარჩა. 1922 წ. ივანე ჯავახიშვილის მოწვევით მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც მას ეთნოგრაფიული მუშაობის აღორძინება დაევალა, მაგრამ როგორც პოლიტიკურად არასაიმედო 1923-დან 1924 წლის 15 იანვრამდე მეტეხის ციხეში იჯდა. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, კვლავ განაგრძო მეცნიერული მუშაობა და 1924 წლის ზაფხულში მესხეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მიემგზავრება. ამ პერიოდს დაემთხვა აგვისტოს ცნობილი მოვლენები საქართველოში და აჯანყების ორგანიზების ბრალდებით გ. ჩიტაია არქიტექტორ მიხეილ შავიშვილთან ერთად დააპატიმრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. ახალციხის ციხის საკანში ორი დღე ელოდნენ განაჩენის ასრულებას, მაგრამ მოულოდნელად განთავისუფლება ამცნეს. სინამდვილე კი რამდენიმე წლის შემდეგ შეიტყო.

– «ჩვენდა საბედნიეროდ, სამეულის ერთ-ერთი წევრი, ახალციხის აღმასკომის თავმჯდომარე გაბუნია, ჩემი პეტერბურგელი ამხანაგი აღმოჩნდა. მას უთქვამს, ერთი დღით გადავდოთ დახვრეტაო; მეორე დღეს კი მოსულა სერგო ორჯონიკიძის ბრძანება დახვრეტების შეწყვეტაზე. ჩვენ კი სიკვდილი იმ ღამეს უკვე ვნახეთ». მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ჩიტაია შემდეგ მთლიანად ჩამოსცილდა პოლიტიკას, წარსულის ეს პერიოდი მძიმე ტვირთად გაჰყვა მთელ მის ცხოვრებას.

სწორედ გიორგი ჩიტაიას თავდაუზოგავი მუშაობის ნაყოფია ხუთკაციანი ჯგუფიდან ეთნოლოგთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის შექმნა. დარგის განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში მას გვერდით ედგა ცნობილი ქართველი მეცნიერი ვერა ბარდაველიძე, რომელთა სანიმუშო მეგობრობამ დიდი ძალა მისცა ქართული ეროვნული მეცნიერების განვითარებას.

ეთნოლოგიის სათავეში დადგომისთანავე (30-იანი წლებიდან დარგს საბჭოთა კავშირში ეწოდება ეთნოგრაფია) გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობა ორი მიმართულებით წარიმართა: პირველი საორგანიზაციო – დარგის დაფუძნება-განვითარების ორგანიზაციულ და თეორიულ საფუძვლებს, სამუზეუმო, საველე და სასწავლო პროცესების ორგანიზება ეხებოდა; მეორე სამეცნიერო – ზოგად ეთნოგრაფიულ, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის საკვანძო პრობლემების დასმასა და კვლევა-ძიებას. ამ ორი მიმართულებით სისტემატურმა და თავდაუზოგავმა მუშაობამ განაპირობა საქართველოში ეთნოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება-განვითარება.

გიორგი ჩიტაიამ საფუძველი ჩაუყარა ეთნოგრაფიულ კერებს სამეცნიერო ცენტრებშიც. 1936 წელს ეთნოგრაფიული სექცია ჩამოაყალიბა ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც საფუძვლად დაედო 1938 წელს ეთნოგრაფიის განყოფილებას. 1961 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დააფუძნა საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის სექტორი, რომელიც საბჭოთა პერიოდში წარმოადგენდა საქართველოში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მთავარ ცენტრს. გიორგი ჩიტაიამ ეთნოგრაფიას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1940 წელს ეთნოგრაფიის კათედრის დაარსებით (საბჭოთა კავშირში მეორე, მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის

შემდეგ). ამ დროიდან 1973 წლამდე იგი კათედრის უცვლელი ხელმძღვანელია.

გიორგი ჩიტაია ცნობილი იყო როგორც სამუზეუმო საქმის გამოჩენილი სპეციალისტი. საქართველოს მუზეუმში მისი კონსულტაციებითა და ხელმძღვანელობით გამოიფინა ხევსურეთისა და სვანეთის პრობლემურ-თემატური და რეგიონული ექსპოზიციები: XIX ს. ქართული ტანსაცმელი, კავკასიური ხალიჩები, ხის ჩუქურთმა, საბრძოლო და შრომის იარაღები და სხვ. 1951-1954 წ.წ. მოეწყო საქართველოს ერთიანი სანიმუშო გამოფენა. მისი თანადგომით ამუშავდა ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმი თბილისში (1935-1939 წ.წ.). მისი ინიციატივით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდები გამდიდრდა კავკასიისა და საქართველოს, აზიის ქვეყნების მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული კოლექციებით. გ. ჩიტაიას თემატური გეგმებით, პროგრამებითა და კონსულტაციებით მოეწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმები საქართველოს რიგ რეგიონებში.

1966 წ. თბილისში ეთნოგრაფიული მუზეუმის ღია ცის ქვეშ დაარსება გიორგი ჩიტაიას მრავალწლიანი ოცნების ასრულება იყო. XX ს. 40-იან წლებში გიორგი ჩიტაიამ თავისი იდეა პირველად, სიმონ ჯანაშიას გაუზიარა. 40-იან წლებში, ეს საკითხი ოფიციალურად სამეცნიერო და ხელმძღვანელი ორგანოების წინაშეც დასვა. ათეული წლების განმავლობაში იბრძოდა ამ იდეის განხორციელებისათვის და არა მარტო პრაქტი-

კულად ჩაუყარა საფუძველი ამ დიდ ეროვნულ საქმეს, არამედ მანვე შეიმუშავა მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპებიც.

გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო ფართო დიაპაზონისაა. იგი 200-ზე მეტი შრომის ავტორია. საქართველოში ეთნოგრაფიული აზრის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის

მეთოდოლოგიურ და თეორიული ხასიათის ნაშრომებს. ამ ნაშრომებმა ჯერ კიდევ 20-იან წლებში განსაზღვრა ეთნოგრაფიული კვლევის ამოცანები, მეთოდი. ეს ფაქტიურად ნიშნავდა იმას, რომ ეთნოგრაფიულ ცოდნას, რომლის დაგროვება საქართველოში ასეული წლების განმავლობაში ხდებოდა, ახლა უკვე სამეცნიერო დისციპლინის ხასიათი მიეცა, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს.

ყოველი მისი გამოკვლევა ემსახურება ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, კულტურულ-ისტორიული და გენეტიკური კავშირის ძიებას წინა აზიის უძველესი ცივილიზაციის სამყაროსთან.

გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალპროფილიანია, მაგრამ მასში მაინც გამოიკვეთება ერთი და ძირითადი. ეს არის ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურა – მისი გენეზისი, ეთნოსპეციფიკა და კულტურულ-ისტორიული ღირებულება. ბუნებრივია, რომ საკითხთა ამ რთულ კომპლექსში უმთავრესი ყურადღება მიექცა შრომის იარაღებს, პირველყოვლისა სახვნელს. მრავალმხრივი შესწავლის, უნიკალური ეთნოგრაფიული დაკვირვებისა და ფართო ლიტერატურული მონაცემების შედარებითი ანალიზის შედეგად დადგინდა სახვნელი იარაღის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, მათი პარალელები კავკასიისა და ძველ-აღმოსავლურ სამეურნეო-კულტურულ სამყაროში. მანვე დაასაბუთა ქართული სახვნელის იარაღის ძველთაგან მომდინარეობა, ადგილობრივი წარმოშობა და მაღალგანვითარებულობა.

ამ მიმართულებით მუშაობის პირველივე შედეგებმა მიიქციეს ივ. ჯავახიშვილის ყურადღება. სახვნელი იარაღის შემდგომი კვლევა დაუკავშირდა სამიწათმოქმედო სისტემებს. ჩამოყალიბდა მთური მიწათმოქმედების ძირითადი ტიპოლოგიური ნიშნების კომპლექსი, რომელსაც მნიშვნელობა

აქვს ზოგადი ეთნოგრაფიისათვისაც. გ. ჩიტაიას მრავალ-რიცხოვანი ნაშრომები ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურის შესახებ, რომელთა შორის რიგი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ, საფუძვლად დაედო საქართველოში აგროეთნოგრაფიის ჩასახვავანვითარებას.

სამეცნიერო ინტერესების ფართო დიაპაზონის მკვლევარს ეთნოგრაფიული ძიების არცერთი უბანი არ დაუტოვებია ყურადღების გარეშე: ეთნოგრაფიის ისტორია და თეორია, ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია, სამუზეუმო კოლექციები და გამოფენები, საველე მუშაობის ორგანიზაცია და კადრების მომზადება, ქართველი ხალხის კულტურის ტრადიციული ფორმების ანალიზი მათი ისტორიული განვითარების პროცესში. გ. ჩიტაიას შემოქმედებამ გამოავლინა ქართველი და სხვა კავკასიელ ხალხთა მდიდარი კულტურა, მაღალი მიღწევები სამეურნეო საქმიანობაში, ცხადყო რომ კავკასიის ხალხთა ყოფა და კულტურა შეიცავს თავისთავადი ხასიათის ნიშნებს, რომლებიც გამოყოფენ მას სხვა ცივილიზაციებისაგან. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიების შედეგებმა სათანადო ადგილი დაიჭირეს კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურაში.

ნებისმიერი გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფია გარკვეულ ნაწილში ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. ასეთ ბიოგრაფიას იმიტომაც ვუწოდებთ «გამოჩენილს», რომ გუშინდელში ბევრი რამ არის საგულისხმო სადღეისოდაც. ამ მხრივ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას გ. ჩიტაიას დამოკიდებულებას საველე-საექსპედიციო მუშაობისადმი. მან პრინციპულ სიმადლემდე აიყვანა ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ეთნოგრაფიული ფაქტის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის მიმართ და თავისი სამეცნიერო კარიერის პირველი ნაბიჯებიდანვე ამ თეზისის დასაბუთებას შეუდგა. ეთნოგრაფიული ველი იყო გიორგი



ჩიტაიას სამეცნიერო კვლევის სათუთი უბანი. გ. ჩიტაიამ შეიმუშავა საველე-სამეცნიერო მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომელმაც უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა დიდძალი და დღეს უკვე უნიკალური ეთნოგრაფიული ფაქტების შეკრებაში. მრავალი ათეული წლის მანძილზე საქართველოში საველე ეთნოგრაფიული მუშაობა გ. ჩიტაიას უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. იგი იყო 40-ზე მეტი სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც (აზერბაიჯანის, დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ადიღეს ექსპედიციები). დიდოეთის ექსპედიციაში უნიკალურ ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად მოპოვებულ იქნა ბრწყინვალე სამუხეუმო კოლექციები და, რაც მთავარია, უნიკალური ხელნაწერები.

75 წლის განმავლობაში გ. ჩიტაია აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი თაოსნობით საქართველოს საისტორიო საზოგადოება იცავდა იმ სახელოვან ტრადიციებს, რაც მას, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებამ უანდერძა. იგი იყო რამდენიმე სარედაქციო კოლეგიისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი, მრავალი აკადემიური ჟურნალის, გამოცემათა სერიების, მონოგრაფიების რედაქტორი, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემსწავლელი საერთაშორისო კომიტეტის წევრი, მსოფლიო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ბიობიბლიოგრაფიის რედაქციის წევრი და ა.შ. მიწვეული იყო ბერლინის, ფილადელფიის, პარიზის, დელის საერთაშორისო ეთნოგრაფიულ კონგრესებზე. ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის გარდა, მას გამოკვეთილი ჰქონდა საუკეთესო ადამიანური თვისებები. დიდი შინაგანი კულტურა იყო მისი პიროვნულობის ძირითადი საფუძველი.

გიორგი ჩიტაიას ცხოვრება და მოღვაწეობა ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფურცელია XX საუკუნის 20-იანი წლების ჩვენი ეროვნული ინტელიგენციის თავგადასავალში: სამშობლოს სიყვარული და მისი ისტორიის პატივისცემა, ფანატიკური გატაცება საქმით, ძლიერი ნებისყოფა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რაც კვლავ ახალი მიღწევების საწინდარი ხდებოდა. «ჯერ კიდევ იმ საქმეში, რომელიც მე მევალება, თავი მამულისა და ერის წინაშე ვალმოხდილად არ მიმაჩნია» – აღნიშნავდა ამაგდარი მეცნიერი.

მისი ნათელი ცხოვრება მარად დარჩება პატრიოტიზმის, ერისკაცობის და მაღალზნეობის სამაგალითოდ.

თამილა ცაგარეიშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## GIORGI CHITAIA

(A Brief Review of His Scholarly and Public Activities)

The beginning of Giorgi Chitaia's formation as a patriot and a public-minded personality coincided with the period when the country and the time stood at the crossroads of the century and his activities as a scholar started together with the beginning of a new epoch in the Georgian people's history.

Academician Giorgi Chitaia belongs to the ranks of the distinguished Georgian scholars who took upon themselves a great patriotic mission – to prove their love for their motherland combined with their spiritual nobleness by their goals, activities and every step they took in their lives. It is the generation who with the blessing of great Ivane Javakishvili headed the national school of fundamental sciences: Dimitri Uznadze, Shalva Nutsbidze, Korneli Kekelidze, Giorgi Chubinashvili, Giorgi Akhvlediani and many others. Giorgi Chitaia was destined to thread the science of ethnography in Georgia.

Giorgi Chitaia was born on November 23, 1890, in Spiridon Chitaia's family in Poti. "I had experienced many hardships in the course of my life until I was able to stand on my own feet. In 1905 I finished the town school of Poti; I was eager to continue my studies, but my family could not afford it, though my mother always encouraged me to go on with my education, but my father wanted me to become a salesman or learn some trade. In this way I earned my own living in the years 1907-1909 as an unskilled worker (at that time a large-scale construction work was going on in Poti – building an Episcopal cathedral), a conductor of the horse tram, a cashier of the workers' co-operative canteen (then the foundation of cooperatives was headed by the Social-Democratic Party), I was the Secretary of the Democratic Party Committee. At the same time

Pavle Ingoroqva and I were working for the school-leaving certificate exams.”

The scholar’s formation as a personality was greatly influenced by some renowned public figures: “What would my life have been if I had never met Sergi Giorgadze, Ekvtime Taqaishvili, I would not have been able to continue my studies. It was these people that rendered me assistance to get a scholarship. A great role was played by Niko Nikoladze. If he had not met me, I suppose my father would never have sent me to school at all. Then he elected me the Mayor of Poti, giving up his position for me, stood by my side – a quite young man and aroused in me hopes that I might succeed in life.”

After leaving the town school of Poti in 1907 he continued his education in Tbilisi, at Boys’ Gymnasium School N2. In 1911 he was enrolled at the Georgian-Armenian Department of the Faculty of Oriental Studies of St Petersburg University. The St Petersburg period is very significant in his life, as following N. Marr’s advice, he started studying the Iranian and German languages, subsequently he took up the Armenian and French languages. Parallel with it he took an active part in the work of the Students’ Research Society founded by Ivane Javakhishvili, which he headed in the years 1912-1916. When he was in his second year, by the recommendation of Niko Marr he took part in the archeological expedition on the site of the ruined city of Anis (1913), which, as he said himself, was a source of studying “the real history” of the Caucasus, where great attention was paid to “the ethnographic observation.” It was this ethnographic material Giorgi Chitaia worked on. In 1914, at the invitation of I. Orbeli, he participated in the Shiraki expedition and studied the Armenian ethnographic life in the microregion of the river Akhuriani basin. It was in this milieu that the character of the future scholar and activist was taking shape. In 1913 he attended the lectures of Professor Brockelmann in Könisberg.

At Petersburg University, upon Ivane Kavakishvili's advice, Giorgi Chitaia got acquainted with the foundations of ethnology and European literature. It was through his relationship with Ivane Javakhishvili that he came to fully comprehend the scientific significance of this sphere of scholarship.

G. Chitaia noted many a time that Ivane Javakhishvili breathed life into Georgian ethnography when suggesting the idea of collecting Georgian ethnographic material according to a definite programme. He also headed making up the bibliography whose ethnographic part was prepared by G. Chitaia.

When in Petersburg, G. Chitaia had to give up his studies for a while due to some problems with his health. In 1916 he graduated from the University, returned to his native land and began working as a teacher at the Gymnasium School in Poti.

During his lifetime the years 1918-1924 were removed from his biography. They were the years which the scholar, already advanced in years, evaluated in the following manner, "May 26, 1918, was the brightest day in the history of Georgia. After that all hopes were crushed, the souls were emptied. At the beginning we even fell into despair, but I could not leave Georgia in spite of the fact that there were no happy days in store for me. Afterwards-imprisonment, being watched, suspicion. Though some well-wishers advised me to join the Communist Party I could not and would not do it. A person, split in his faith, is not good at anything either within his home or without."

In the years 1918-21 G. Chitaia is the Chairman of the Poti City Council. In 1921 the Menshevik Government suggested to him that he should go abroad, which G. Chitaia did not agree with and stayed in Georgia. In 1922, at the invitation of Ivane Javakhishvili, he began working at the Georgian State Museum, where he was to revive ethnographic activities. But he was kept in the Metekhi prison as politically unreliable from 1921 until January 15, 1924. After being

released he continued his scholarly activities and in the summer of 1924 he joined an expedition to Meskheti. It was in this period that certain events occurred in Georgia and on a charge of organizing the uprising he was arrested together with the architect Mikeil Shavishvili and sentenced to death. They had been waiting for the fulfilment of the sentence in the Akhaltsikhe prison cell for two days, but suddenly they were informed that they had been freed. He learned the truth only some years later. "Luckily for us, one of the members of the Three-member Commission ("Troika"), Head of the Akhaltsikhe Executive Committee, happened to be a friend of mine of the Petersburg period. He suggested that our execution be postponed to the next day; and the next day Sergo Orjonikidze's order to stop shooting arrived." In spite of the fact that after this Chitaia never took part in the political activities again, this period of his past remained to be a heavy burden throughout all his life.

It is the result of Giorgi Chitaia's dedication and selfless work that on the basis of the group of five people a numerous staff of scholars was formed. In all his activities connected with the development of this branch of scholarship, he was supported by a renowned Georgian scholar Vera Bardavelidze, their unique friendship contributed a lot to the advance of this branch of research.

Immediately after Giorgi Chitaia's assuming the guidance of the work in ethnology (beginning from the 30s it was called ethnography) his activities were channelled into two directions: the first was organizational, concerning the issues of the organizational and theoretical foundations of the establishment and development of this branch of learning, also directing museum, field and educational processes; the other dealt with research, raising and studying major problems of general ethnography of Georgia and the Caucasus. The systematic and dedicated work in these two directions conditioned the formation and development of ethnography as an independent sphere of learning in Georgia.

Giorgi Chitaia founded seats of ethnography in other research centers as well. The ethnographic section, established at the Institute of the Caucasian Studies in the Transcaucasian Branch in 1936, subsequently laid a foundation of the Ethnographic Department in 1938, and beginning from 1961 – the Department of the Georgian and Transcaucasian Ethnography at the Ivane Javakishvili Institute of History and Ethnography, which in the Soviet period was the main centre of ethnographic research and studies in Georgia.

Giorgi Chitaia laid a firm foundation of ethnography by establishing the Department of Ethnography at Tbilisi State University in 1940 (the second in the Soviet Union, after the Department of Ethnography at Moscow State University). Since that time until the year 1973 he never left the position.

G. Chitaia was known as an outstanding expert on the museum activities. By his consultations and guidance at the Georgian Museum problematic-thematical and regional expositions of Khevsureti and Svaneti were held: nineteenth-century Georgian costumes, Caucasian rugs, carvings in wood, military weapons, working tools and many others. In 1951-54 an all Georgian model exhibition was put on. With his support a Jewish Ethnographic Museum was opened in Tbilisi (1935-1939). At his initiative significant ethnographic collections from the Caucasus and Asian countries were added to the museum funds; according to Giorgi Chitaia's thematic plans, programmers and consultations museums of regional studies were opened in a number of regions of Georgia.

The foundation of an Open-Air Museum of Ethnography in Tbilisi in 1966 was the fulfillment of Giorgi Chitaia's dreams of many years. In the 40s of the twentieth century Giorgi shared his idea about founding an open-air museum in Tbilisi with Simon Janashia. In the 40s he officially raised the question on the scientific and government level, continuing fighting for the implementation of the idea for decades. Not only did Giorgi Chitaia laid a foundation for

this great national deed in practice, it was he that worked out the basic principles of the organization of the museum as well.

The range of Giorgi Chitaia's academic-research interests is vast. He is the author of more than 200 works. A decisive role in the development of ethnography in Georgia was played by his theoretical and methodological works. These works defined the tasks and methodology of ethnographic research as early as the 20s of the last century. In fact it meant that all the ethnographic knowledge, that had been stocked up in Georgia for hundreds of years, took the form of a sphere of learning and founded an independent branch of scholarship.

Each of his researches facilitates searching for the Georgian people's ethnogenesis, their cultural-historical and genetic links with the ancient civilization of Nearer Asia.

Giorgi Chitaia's scholarly activities are diversified, though one and the most basic and distinguished subjects is the Georgian people's agriculture, its genesis, ethnospecificity and the cultural-historical value. It is natural that in this sophisticated complex of issues the greatest attention was paid to the working implements, first of all to those meant for ploughing. On the basis of the comparative analysis, comprehensive studies, unique ethnographic observation and vast literary material the typological classification of ploughing implements was determined, so were their parallels in the economic-cultural sphere of the Caucasus and the old East, he also proved the ancient origin of the Georgian ploughing implement, its local provenance and the high level of development.

The very first result of the research in this direction attracted Iv. Javakhishvili's attention. Further research in the ploughing implement was connected with the agricultural systems; a complex of the basic typological features of highland agriculture took shape, all this is very important for general ethnography as well. Giorgi Chitaia's numerous works on the Georgian people's farming culture,



many of which were published abroad, laid foundation for the inception and development of agroethnography in Georgia.

The scholar, whose sphere of interests was vast, did not leave any branches of ethnographic studies beyond his attention: history and theory of ethnography, methodology of ethnographic research, museum collections and exhibitions, organizing field work and preparing future researchers, the analysis of the traditional forms of Georgian people's culture in the process of their historical evolution. Giorgi Chitaia's scholarly activities revealed the rich culture of the Georgian and Caucasian peoples, their high agricultural achievements and working biography, they proved that the everyday life pattern and culture of the Caucasian peoples bear quite original features, distinguishing them from other civilizations. The results of research work carried out in this direction occupied a suitable place in the literature on Caucasian studies. A certain part of the biography of any outstanding person always acquires historical significance. That is why such a biography is called "outstanding" – in the past there are many events that still retain their importance. In this connection special emphasis should be laid on Giorgi Chitaia's attitude to the field-expeditional work. He raised to an essentially high level N. Marr's and Iv. Javakhishvili's viewpoints concerning the significance of studying the sources when researching in an ethnographic fact and at the very beginning of his academic career he dedicated himself to proving this thesis. The ethnographic field was a delicate issue of Giorgi Chitaia's researches. He worked out a composite-intensive method of the field-research work, which played a most positive role in collecting numerous ethnographic facts, already unique today. For many years in Georgia field-ethnographic work was carried out under the direct supervision of Giorgi Chitaia. He headed more than 40 research expeditions both in this country and beyond its borders – expeditions to Azerbaijan, Daghestan, Chechnia, Ingushetia and Adighei. The expedition to

Didoeti discovered not only rare ethnographic material but remarkable museum collections and what is the most important – unique manuscripts.

For 75 years Giorgi Chitaia was actively engaged in social life. Under his guidance Georgian Historical Society continued observing the famous traditions, bequeathed by the Historical-Ethnographic Society founded by the renowned scholar and public figure Ekvtime Taqaishvili. He was a member of several editorial boards and academic councils, an editor of a great number of learned journals, series of publications and monographs, a member of the International Commission on Studying Agricultural Implements, a member of the editorial board of the World Bibliographia, etc. He was invited to the International Ethnographic Congresses in Berlin, Philadelphia, Paris, Deli. Apart from wide-range research and public activities he was a man of distinguished human character, his great innate culture was the most significant basis his personality was founded on.

Giorgi Chitaia's life and activities are one of the most important pages in the experience of the intellectuals of this country in the 20s of the twentieth century: love of their motherland and respect for their history, fanatical dedication to their work, invincible willpower, sense of dissatisfaction with what they had achieved, which gave an impetus to further achievements. "I do not think that so far I have done my duty to my motherland and nation in the matter I have taken upon myself," said the honoured scholar.

His pure and bright life will always be an example of patriotism, devotion to his people and high morals.

Tamila Tsagareishvili  
Professor, Doctor of History

## ГЕОРГИЙ ЧИТАЯ

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Начало формирования Георгия Читая как гражданина совпало с тем периодом, когда страна и само время находились на перепутье века, а первые его шаги в науке – с началом новой эпохи в истории грузинского народа.

Академик Георгий Читая принадлежит к плеяде тех избранных грузинских деятелей, которые возложили на себя почетную миссию – доказать любовь к отечеству, наряду с духовным благородством, своими целями, деяниями, каждым жизненным шагом. Это то поколение, которое рукоположением выдающегося Иване Джавахишвили возглавило национальную школу фундаментальных наук: Дмитрий Узнадзе, Шалва Нуцубидзе, Корнели Кекелидзе, Георгий Чубинашвили, Георгий Ахвледiani и др. На долю Георгия Читая выпала честь возглавить этнографическую науку в Грузии.

Георгий Читая родился в г. Поти 23 ноября 1890 г. в семье Спиридона Читая. «На протяжении моей жизни мне пришлось многое пережить, прежде чем я встал на ноги. 1906 г. я окончил городское училище в Поти и был полон желания продолжить учебу, не имела на это возможности, хотя мама призывала меня к этому, а отец хотел, чтобы я пошел в приказчики либо в ремесленники. Так я в 1907-1909 г.г. добывал себе хлеб насущный собственным трудом – чернорабочим (в то время в Поти строился кафедральный собор), кондуктором конки, кассиром в кооперативной столовой для рабочих (тогда основанием рабочих кооперативов руководила Социал-демократическая партия). Я был секретарём комитета Социал-демократической партии. Одновременно я и Павле Ингорква готовились к экзаменам на свидетельство зрелости».

На становление личности Георгия Читая большое внимание оказали общественные деятели того времени: «Чем была бы мая жизнь, не встреться Серги Георгадзе, Эквтиме Такашвили. Ведь тогда я не смог бы продолжить учебу. Именно при их содействии я получил стипендию. Большую роль в моей жизни сыграл Нико Николадзе. Не будь его, отец вовсе не отдал бы меня в школу. Потом он выбрал меня главой г. Поти, уступил мне свое место, поддержал меня, еще совсем молодого, внушив мне надежду в жизни».

По окончании Потинского городского училища Георгий Читая продолжил учебу во второй мужской гимназии г. Тбилиси. В 1911 г. его зачислили в Петербургский университет на грузинско-армянское отделение факультета востоковедения. Период обучения в Петербургском университете весьма значителен в биографии ученого. Здесь он по указанию Н. Марра начал изучать персидский и немецкий языки, позднее – французский и армянский, параллельно с этим активно участвовал в работе научного кружка грузинских студентов, созданного под руководством Иване Джавахишвили. Г. Читая руководил работой этого кружка в 1912-1916 гг. со второго курса. По рекомендации Н. Марра он принял участие в раскопках Анисского городища (1913 г.), которое для Н. Марра, по его же словам, являлось источником изучения «реальной истории», где этнографическим наблюдениям было уделено значительное место. Именно над этими этнографическими материалами работал Г. Читая. В 1914 г. по приглашению И. Орбели он в составе Ширакской экспедиции изучает этнографический быт Армении в бассейне р. Ахуриан. В такой обстановке шор формирование будущего ученого и деятеля. Следует отметить, что, помимо всего, он в 1913 г. слушал лекции проф. Брокельмана в Кенигсбергском университете.

В Петербургском университете по указанию И. Джавахишвили Г. Читая знакомится с основами этнологии,

европейской литературой. Именно тогда, общаясь с И. Джавахишвили, он познал значение этой отрасли.

Позднее Г. Читая неоднократно отмечал, что И. Джавахишвили вдохнул жизнь в грузинскую этнографию, когда высказал идею сбора этнографического материала по определенной программе. Под его же руководством была составлена библиография, этнографическая часть которой выполнена Георгием Читая.

Следует сказать, что, в связи с ухудшением здоровья, Г. Читая был вынужден временно прекратить занятия в Петербургском университете. Но в 1916 г., окончив университет, он вернулся на родину и стал работать педагогом в Потийской гимназии.

Период с 1918 по 1921 гг. можно считать «изъятым» из биографии ученого. Сам он в конце жизни оценивал эти годы следующим образом: «26 мая 1918 г. – самый светлый день в истории Грузии. Затем – обманутые надежды, опустошенная душа. Сначала мы впали в отчаяние, но покинуть Грузию я не мог, несмотря на то, что впереди меня ничего хорошего не ждало. Потом тюрьма, слезка, недоверие. Правда, некоторые мои доброжелатели предложили мне вступить в коммунистическую партию, но и этого я не мог. Человек с раздвоенной верой не годится ни дома, ни вне дома».

В 1918–1921 гг. Г. Читая был председателем Потийского городского совета. В 1921 г. меньшевитское правительство предложило ему уехать за границу, но он отказался покинуть Грузию.

В 1922 г. по приглашению И. Джавахишвили он начинает работать в Государственном музее Грузии, где ему было поручено возрождение этнографической работы. Однако, как политически ненадежный, он с 1923 г. по 15 января 1924 г. просидел в метехской тюрьме. По выходе из тюрьмы он продолжил научную работу и летом 1924 г. отправился с

этнографической экспедицией в Месхети. С этим периодом совпали известные августовские события в Грузии, в связи с этим он и архитектор Михаил Шавишвили были обвинены в организации восстания, заключены в тюрьму и приговорены к расстрелу. В камере Ахалцихской тюрьмы они два дня ждали исполнения приговора, но неожиданно их освободили. Правда узналась лишь спустя несколько лет:

«К нашему счастью, один из членов «тройки», председатель Ахалцихского исполкома Габуния оказался моим Петербургским знакомым. Оказывается он предложил на день отложить расстрел, а назавтра пришел приказ С. Орджоникидзе о прекращении расстрелов. А мы той ночью уже посмотрели смерти в глаза». Но, несмотря на то, что впоследствии Г. Читая полностью отошел от политики, прошлое тяжелым грузом давило на него всю оставшуюся жизнь.

Плодом самоотверженного труда ученого следует считать то обстоятельство, что именно его стараниями группа этнографов, состоящая из пяти человек, превратилась впоследствии в многочисленный коллектив. В деле развития отрасли большую поддержку оказывала ему проф. Вера Бардавелидзе. Их образованная дружба во многом обусловила развитие грузинской этнографии.

Г. Читая возглавил грузинскую этнологию (с 30-их годов XX в. отрасль стала называться этнографией). С самого же начала его деятельность развивалась в двух направлениях: первое касалось организационных и теоретических вопросов основания и развития отрасли, организации музеев, полевых работ, учебного процесса; второе направление было сугубо научным, а именно – постановка узловых проблем этнологии Грузии и Кавказа в целом и научно-исследовательская работа. Систематическая и упорная работа по этим двум направлениям обусловила формирование и развитие в Грузии этнологии как самостоятельной дисциплины.

Г. Читая заложил основы этнографических очагов и в других научных центрах. Секция этнографии, созданная в 1936 г. в институте кавказологии, в дальнейшем, в 1938 г. легла в основу создания отдела этнографии, а в 1961 г. – сектора этнографии Грузии и Кавказа в институте истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили, который в советский период являлся главным центром этнографических исследований в Грузии.

Основанием в Тбилисском государственном университете кафедры этнографии (1940 г.) Г. Читая заложил твердые основы данной отрасли (в Союзе ССР эта была вторая кафедра после Московского университета). С этих пор и вплоть до 1973 г. ученый был бессменным руководителем этой кафедры.

Г. Читая был известен как выдающийся специалист музейного дела. В Музее Грузии под его руководством были выставлены проблемно-тематические и региональные экспозиции Сванеты и Хевсурети, грузинская одежда XIX в., кавказские ковры, образцы резьбы по дереву (орнамент), боевое оружие, орудия труда и т.д. В 1951-54 гг. была устроена единая образцовая выставка Грузии. При его содействии начал работать еврейский этнографический музей в Тбилиси (1935-1939 гг.). По его инициативе фонды Музея Грузии пополнились значительными этнографическими коллекциями Кавказа и Грузии, а также стран Азии. По тематическим планам и программам в различных регионах Грузии были созданы краеведческие музеи.

Основание в Тбилиси музея под открытым небом (1966 г.) было исполнением многолетней мечты Г. Читая. В первые годы ученый поделился идеей такого музея с Симоном Джанашиа в 40-их годах XX в. Этот вопрос был им официально поставлен перед научными и руководящими органами, и в течение десятков лет ученый боролся за осуществление своей идеи. Он не только практически заложил основу этому большому

национальному делу, но и выработал основные принципы устройства музея.

Сфера научно-исследовательских интересов Г. Читая довольно обширна. Он является автором более 200 трудов. В развитии этнографической мысли в Грузии решающую роль сыграли его методологические и теоретические труды, которые еще в 20-их годах прошлого века определили задачи и метод этнографических исследований. Это фактически означало, что этнографические знания, накопленные в Грузии в течение сотен лет, теперь уже приняли характер научной дисциплины – в Грузии была основана самостоятельная отрасль науки.

Каждое его исследование посвящено этногенеза грузинского народа, поиску его культурно-исторических и генетических связей с древнейшими цивилизациями Передней Азии.

Многообразна научная деятельность Г. Читая. Однако в ней ярко выражено одно и основное – это земледельческая культура грузинского народа: ее генезис, этноспецифика и культурно-историческая ценность. Естественно, что в этом сложном комплексе вопросов главное внимание уделено орудиям труда, в основном пахотным орудиям. В результате всестороннего изучения, уникального этнографического наблюдения и сравнительного анализа литературных данных установлены типологическая классификация пахотных орудий, их параллели в хозяйственно-культурном мире Кавказа и древнего Востока, обоснованы глубокая древность грузинского пахотного орудия, его местное происхождение и высокое развитие.

Первые же итоги работы в этом направлении обратили на себя внимание И. Джавахишвили. Дальнейшее исследование пахотного орудия было увязано с системами земледелия, сформировался комплекс основных типологических признаков горного земледелия, имеющий значение и для общей этнографии. Многочисленные труды Г. Читая, посвященные земледельческой культуре грузинского народа, из коих ряд работ



издан за границей, легли в основу зарождения и развития в Грузии агроэтнографии.

Ученый, научные интересы которого охватывали широкий диапазон, не оставил без внимания ни одну область этнографических исследований: историю и теорию этнографии, методику исследований, музейные коллекции и выставки, организацию полевых работ и подготовку кадров, анализ традиционных форм культуры грузинского народа в процессе их исторического развития. Благодаря его творчеству были выявлены богатая культура грузинского и других кавказских народов, их достижения в хозяйственной деятельности и трудовая биография, а также доказано, что быт и культура кавказских народов носят самобытный характер и признаки, которые отличают их от других цивилизаций. Результаты этих исследований заняли подобающее место в кавкасиоведенческой литературе.

Биография любого известного человека определенным образом принимает историческое значение. Потому и называют эту биографию «известной», что в прошлом есть многое, что важно сегодня. В этом смысле нельзя не отметить отношение Г. Читая к полевым экспедиционным работам. Он поднял на принципиальную высоту зрения И. Джавахишвили и Н. Марра на источниковедческую значимость этнографического факта и с самого же начала своей научной карьеры приступил к обоснованию этого тезиса. Этнографическое поле было самым деликатным участком его научной карьеры. Г. Читая разработала комплексно-интенсивный метод научно-полевой работы, сыгравший позитивную роль в сборе многочисленных и сегодня уже, можно сказать, уникальных этнографических фактов. В течение многих лет полевые этнографические работы в Грузии проходили под непосредственным руководством Г. Читая. Он был руководителем более сорока научных экспедиций как в Грузии, так и за ее пределами – Азербайджане, Дагестане,

Чечено-Ингушетии, Адыгее. Во время экспедиционных работ в Дидоети, наряду с уникальными этнографическими материалами, были добыты блестящие музейные коллекции и, что главное, уникальные рукописи.

В течении 75 лет Г. Читая вел активную общественную деятельность. Под его руководством историческое общество Грузии защищало те славные традиции, которые были завешаны историко-этнографическим обществом Грузии, созданным известным ученым и общественным деятелем Эквтиме Такаишвили. Г. Читая был членом нескольких редакционных коллегий и научных советов, редактором многих академических журналов и серийных изданий, монографий, членом редакции Всемирной этнографической и фольклорной библиографии и т.д.; являлся участником международных этнографических конгрессов в Берлине, Филадельфии, Париже, Дели. И, наконец, помимо всего вышесказанного, следует особо отметить, что Г. Читая был личностью, обладающей лучшими человеческими качествами, а главное – высокой внутренней культурой.

Жизнь и деятельность Г. Читая – одна из примечательных страниц из жизни национальной интеллигенции 20-их годов XX в.: любовь к отечеству и уважение его истории, фанатическое увлечение своим делом, сильная воля и чувство неудовлетворенности достигнутым, что становилось предпосылкой новых достижений. «В деле, которое мне поручено, я еще в долгу перед отечеством и народом», – отмечал ученый.

Его светлая жизнь навсегда остается примером патриотизма и высокой нравственности.

Тамила Цагареишвили  
Доктор исторических наук, профессор

## გიორგი ჩიტაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

- 1890 10 (23) ნოემბერს დაიბადა ქ. ფოთში.
- 1902 წ. შევიდა ფოთის საქალაქო სასწავლებელში.
- 1906 წ. დაამთავრა ფოთის საქალაქო სასწავლებელი.
- 1907-1909 წ.წ. მუშაობდა დაქირავებულ მუშად ფოთის პორტში, კოოპერატიულ სასადილოში, სტამბაში.
- 1908 წ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია.
- 1910-1911 წ.წ. დაამთავრა თბილისის მე-2 ვაჟთა გიმნაზია.
- 1911 წ. ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე.
- 1913 წ. გერმანიაში კენისბერგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელია.
- 1916 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.
- 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში.
- 1917-1922 წ.წ. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ფოთის გიმნაზიაში.
- 1918-1921 წ.წ. ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეა.
- 1922 წ. მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უმცროს მეცნიერ-მუშაკად.
- 1923 წ. აგვისტო-1924 წ. 15 იანვარი მეტეხის ციხის პატიმარია.
- 1923 წელს დატოვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგები.
- 1924 წ. აგვისტო, დაპატიმრებულია ახალციხეში.
- 1926-1929 წ.წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტია.
- 1927 წლიდან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.
- 1929-1931 წ.წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგია-ეთნოლოგიის კათედრის ასისტენტი.

- 1931-1936 წ.წ. ეთნოგრაფიული განყოფილების გამგეა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.
